

ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის 26 დადგენილებით და განისაზღვრა 7228,5 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა სამი ცვლილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის # 2630 განკარგულება „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საიდანაც ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1656,6 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 იანვრის 114 განკარგულება, (2019 წლის 18 დეკემბრის 2630 განკარგულებაში ცვლილება) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არამეტეს 2833012 ლარისა.

ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის 2752 განკარგულება, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 620000 ლარი. ასევე ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული 1 69959,44 ნაშთის განაწილება.

ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ასევე კოდებსა და მუხლებს შორის თანხების განაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მესამე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 თებერვლის 232 განკარგულება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არამეტეს 3007009 ლარი. ყოველივე ამის გათვალისწინებით ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 12782,5 ათ. ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 1849,6 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 1920,4 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 103,8% მათ შორის: ქონების გადასახადის გეგმა იყო 4,0 ათ. ლარი, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 60,7 ათ. ლარი. გადასახადის გეგმა იყო 1707,8 ათ. ლარი, ფაქტიური შემოსავალია 1445,1 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 84,6%.

გრანტის სახით მიღებული შემოსავლების გეგმა 107,1 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 107,1. გეგმა შესრულდა 100%-ით. სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 42,0 ათ. ლარით, ფაქტიურად შემოსულია 158,3 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 377 %-ით, მათ შორის მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის გადასახადის გეგმა უნდა შემოსულიყო 19 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 14, 9 ათ. ლარი, გეგმა შესრულდა 78.4%-ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა იყო 1,0 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 1,2 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 120%-ით. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა 4,0 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 13,7 ათ. ლარი. ანუ გეგმა შესრულდა 342,5 %. პრობლემაა ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებულ შემოსავლების ნაწილში, გეგმა შეადგენდა 4,0 ათ. ლარს ფაქტიურად შემოსულია 2,1 ათ. ლარი. საჭიროა სწორად დაიგეგმოს აღნიშნული მუხლი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლის გეგმა შესრულდა 230 %-ით. (გეგმა 5,0 ათ.ლარი, ფაქტი 115,0 ათ.ლარი)

გაწეული ხარჯებიდან მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოებს უნდა მოხმარებოდა 419,4 ათ. ლარი. დაიხარჯა 160,8 ათ. ლარი. ათვისებული იქნა 38,4 %. აღმასრულებელი ორგანოების შენახვას უნდა მოხმარებოდა 391,5 ათ. ლარი. დაიხარჯა 407,2 ათ. ლარი. ანუ ათვისებული იქნა 104 %.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინფრასტრუქტურის ნაწილში გადაჭარბებით მოხდა თანხების ათვისება, კერძოდ უნდა დაფინანსებულიყო 361,2 ათ. ლარით და დაფინანსდა 911,7 ათ. ლარით. მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა - შენახვა დაფინანსდა 187,5 ათ. ლარით, გარე განათება, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა- შენახვა დაფინანსდა 52,8 ათ. ლარით. კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 225 ათ. ლარი. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდა 5,5 ათ. ლარით. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას მიგვაჩნია, რომ იმ ფონზე როცა სოფლების უმრავლესობა განიცდის წყლის დეფიციტს აღნიშნული თანხა არასაკმარისია ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში და აღინიშნა, რომ შემოსულობების ნაწილში გეგმა გადაჭარბებითაა შესრულებული, რაც ძალიან კარგია. მნიშვნელოვანი არის შემოსული ჭარბი თანხებით არ მოხდეს ა(ა)პების სუფსიდირების ზრდა და თანხები კვლავ წარიმართოს ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაში. რაც მკვეთრად გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. მთლიანობაში 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში შეფასდა დადებითად.